

კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების შესწავლას კომისიური წესით.

კომისია დეტალურად შეისწავლის თითოეული სტუდენტის პირად საქმეს, ადგენს, შესრულებული აქვს თუ არა სტუდენტს პროგრამის მოთხოვნები. სტუდენტის მიერ პროგრამის მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში ამზადებს შესაბამის დასკვნას ფაკულტეტის საბჭოსათვის. პირად საქმეში ხარვეზების არსებობის შემთხვევაში სტუდენტს აძლევს მათი გამოსწორებისათვის აუცილებელ ვადას და საჭირო რეკომენდაციებს.

პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა დიპლომი, სტანდარტული დანართით. გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ღებულობს ფაკულტეტის საბჭო, რის საფუძველზეც გამოიცემა რექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი კურსდამთავრებულთათვის დიპლომის გაცემის შესახებ.

კურსდამთავრებულზე, რომლის საშუალო მაჩვენებელი (GPA) არის არანაკლებ 3.7, გაიცემა წარჩინების დიპლომი.

დიპლომი გაიცემა რეესტრის წარმოებისა და დიპლომების განყოფილებაში. (ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, ოთახი №101)

დიპლომის გაცემა მფლობელზე წარმოებს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) წარმოდგენის საფუძველზე. დიპლომის გაცემა დიპლომის მფლობელის წარმომადგენელზე შესაძლებელია მინდობილობისა და მინდობილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) წარდგენის შემთხვევაში.